# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 1 21 0001430348

28/12/2021

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $56^3$ მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე - 8 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 204577582) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით.
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 14 დეკემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1430337 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



| # | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელიკვალიფიკაცია (კვალიფიკაციისკოდით) | ECTS | პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული) | შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფსიქოლოგია (ბაკალავრიატი) | ქართული | ბაკალავრი ფსიქოლოგიაში 0313 | 240 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 2 | თურქეთისმცოდნეობა (მაგისტრატურა) | ქართული | მაგისტრი ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები 0388 | 120 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 3 | ხელოვნებათმცოდნეობა (დოქტორანტურა) | ქართული | დოქტორი ხელოვნების ისტორიასა და თეორიში 0213 | 60 | აკრედიტირებული | 25.07.2018 #85 |
| 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვა (ბაკალავრიატი) | ქართული | ბაკალავრი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში 0919 | 240 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 5 | ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია (ბაკალავრიატი) | ქართული | ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში 0915 | 240 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 6 | ფარმაცია (ბაკალავრიატი) | ქართული | ფარმაციის ბაკალავრი 0916 | 240 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 7 | საექთნო საქმე (ბაკალავრიატი) | ქართული | საექთნო საქმის ბაკალავრი 0913 | 240 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 8 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობა,ჯანდაცვის პოლიტიკა,ბიოეთიკა (მაგისტრატურა) | ქართული | მაგისტრი საზოგადოებრივ ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკაში 0919 | 120 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |
| 9 | ბიოფარმაცია (მაგისტრატურა) | ქართული | მაგისტრი ბიოფარმაციაში 0916 | 120 | ავტორიზირებული | 12.14.2015 #41 |